საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-10/78

ქ. ბათუმი 23 ივნისი, 2023 წ.

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის", ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სტრუქტურაში ცვლილების შეტანისა და მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის ბრძანებების N01-10/106, 16.09.2022 წ.N01-10/156, 09.12.2022 წ.), საჯარო სამსახურის ბიუროს წერილის (13.06.2023 წ. №5329), ბსუ-ში შემოსვლის N681163) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. **გამოცხადდეს ღია კონკურსი** ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge და ვებგვერდზე - www.hr.gov.ge ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი ღია კონკურსის შესახებ განცხადება (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი**).
3. დამტკიცდეს კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი **სააპლიკაციო განაცხადის** ფორმა წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად.
4. განისაზღვროს შემდეგი **საკონკურსო ვადები:**
5. 4.1. კონკურსანტების მიერ **სააპლიკაციო განაცხადის** და საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა - **2023 წლის 26 ივნისიდან 07 ივლისის ჩათვლით** (ღია კონკურსში მონაწილეობის მსურნველმა, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, უნდა გაიაროს რეგისტრაცია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge და წარადგინოს საკონკურსო დოკუმენტაცია);

   4.2. **კონკურსის პირველი ეტაპი** - საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება/გადარჩევა - **2023 წლის 10 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით;**

   4.3. **კონკურსის მეორე ეტაპი** - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან - **2023 წლის 17 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით პერიოდში** (გასაუბრების ზუსტი თარიღის, ადგილის და დროის შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ ერთი დღით ადრე, სააპლიკაციო განაცხადში მითითებული ელექტრონული მისამართზე ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით);

   4.4. კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა და კონკურსის შედეგის გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - არაუგვიანეს **2023 წლის 24 ივლისისა;**

4.5. კონკურსის შედეგზე სააპელაციო საჩივრის (არსებობის შემთხვევაში) წარდგენა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) - **2023 წლის 25 ივლისს, 10:00** სთ-დან 17:00 სთ-მდე;

4.6. კონკურსანტის საჩივრის (არსებობის შემთხვევაში) განხილვა სააპელაციო კომისიის მიერ - **2023 წლის 26-27 ივლისს;**

4.7. კონკურსის <u>საბოლოო შედეგის გამოცხადება</u> ბსუ-ს ვებგვერდზე - **2023 წლის 28 ივლისს.**

6. კონკურსში გამარჯვებული კანდიდატი, მის მიერ საკონკურსო ვადებში გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაციის (პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტების) მატერიალური სახით წარმოდგენის შემთხვევაში **2023 წლის 1 აგვისტოდან** დაინიშნოს ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის თანამდებობაზე (გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება).
7. ბრძანება გამოქვყენდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
8. ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მიერ განთავსდეს ვებგვერდზე - **<u>www.hr.gov.ge</u>** ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი ღია კონკურსის შესახებ განცხადება (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი).**
9. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების და სამართლებრივი აქტების ველებში): წინამდებარე ბრძანება, კონკურსის შესახებ განცხადება (ბრძანების დანართი N1), სააპლიკაციო განაცხადის ფორმა (დანართი N2), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს **დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი**", ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესი"**, ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, ,,სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა'', ბსუ-ს წესდება.
10. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**

,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 23 ივნისის N01-10/78

ბრძანების

დანართი 1

ვაკანსია - ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი ღია კონკურსი

პოზიციის დასახელება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამხმარე თანამდებობა - ***მთავარი შიდა აუდიტორი***
კონკურსის ტიპი - ღია კონკურსი
ორგანიზაცია - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - ბსუ)
განცხადების მიღების ბოლო ვადა - *07.07.2023*
თანამდებობრივი სარგო - *2800 ლარი*
ადგილების რაოდენობა - *1*
სამსახურის ადგილმდებარეობა - *ბათუმი*
სამუშაოს ტიპი - *სრული განაკვეთი*
გამოსაცდელი ვადა - *არა*

ფუნქციები

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის ***ფუნქციები*** (სამუშაო აღწერილობა) განსაზღვრულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესით“ (თან ერთვის ბსუ-ს ვებგვერდზე კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებას).
მთავარი შიდა აუდიტორი დასახული ამოცანების შესასრულებლად საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:
ა) უნივერსიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;
ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება (შემდეგში - ,,სისტემური აუდიტი“);
გ) დაწესებულების საქმიანობის მისიასთან, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებთან, პროცედურებთან, კანონებსა და სხვა მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება (შემდეგში - ,,შესაბამისობის აუდიტი“);
დ) შიდა აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, უნივერსიტეტის ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება, მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით (შემდეგში - ,, ეფექტიანობის აუდიტი“);
ე) უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით (შემდეგში - ,,ფინანსური აუდიტი“);

ვ) უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით (შემდეგში - ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი");
ზ) განხორციელებული საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების გაცემა და გაცემული რეკომენდაციების და წინადადებების შესრულების მონიტორინგი;
თ) სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებსა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპებს.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება - *ბაკალავრი (*სამართლის, ბუღალტრული აღრიცხვის – აუდიტის, ფინანსების ან ეკონომიკის სფეროში/მიმართულებით).
სამუშაო გამოცდილება - <u>არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება</u> აუდიტორის, შიდა აუდიტის ან/და შიდა კონტროლის მიმართულებით.
პროფესია - *სამართალმცოდნე,* ბუღალტრული აღრიცხვა – აუდიტი, ფინანსები ან ეკონომიკა.

საკონკურსო თემატიკა

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი კონკურსის მონაწილე კონკურსანტს მოეთხოვება შემდეგი ნორმატიული სამართლებრივი აქტების ცოდნა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
4. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
5. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
6. საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
7. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ";
8. „საჯარო დაწესებულებებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი;
9. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ";
10. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ";
11. **საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულება** „შიდა აუდიტის სტანდარტების დამტკიცების შესახებ";
12. **საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1016 განკარგულება** „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ"
13. **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №592 დადგენილება** „სისტემური აუდიტის სახელმძღვანელოს/ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ";
14. **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილება** „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ";

15. **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის №133 დადგენილება** „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე";
16. **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის №17 ბრძანება** „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე";
17. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ";
18. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება** „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ";
19. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანება** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – **ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების** დამტკიცების შესახებ";
20. შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) მიერ გამოქვეყნებული საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო (International Professional Practices Framework).

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	მაღალ დონეზე
Microsoft Office Excel	მაღალ დონეზე
PowerPoint	მაღალ დონეზე
Outlook	მაღალ დონეზე

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ქართული ენა	C2	C2

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი - საქართველო, ბათუმი, რუსთაველის /ნინოშვილისქ. N32/35, კორპუსი I, პირველი სართული, ოთახი N2;
საკონტაქტო ტელეფონი: +995 577 61 05 85 (ადამიანური რესურსების მიმართულება) +422- 27- 17-86 (კანცელარია) და **ელფოსტა** - **bsu-hr@bsu.edu.ge**

დამატებითი მოთხოვნები

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესის" თანახმად **მთავარი შიდა აუდიტორის ვალდებულებაა დაიცვას** (შესაბამისად, უნდა იცოდეს) შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტის მეთოდოლოგია, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის პროფესიული პრაქტიკის ჩარჩოს სავალდებულო ელემენტები და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტები.

კანდიდატისათვის დამატებითი მოთხოვნებია:

ა) პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

ბ) დროის ეფექტური მართვის უნარი;

გ) ანალიზისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი;

დ) გუნდური მუშაობის უნარი.

სასურველი მოთხოვნებია:

ა) განათლების სფეროში (საჯარო სამსახურში ან საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ დაწესებულებაში/სსიპ-ში) შიდა აუდიტორად მუშაობის გამოცდილება;

ბ) თემატური ტრენინგები შიდა აუდიტის საკითხებზე;

გ) ინგლისური ენის ცოდნა;

დ) საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ფლობა.

დამატებითი ინფორმაცია

ღია კონკურსში მონაწილეობის მსურველმა, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, უნდა გაიაროს რეგისტრაცია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე - www.hr.gov.ge და **2023 წლის 26 ივნისიდან 2023 წლის 07 ივლისის ჩათვლით** აუცილებლად უნდა ატვირთოს/გამოაგზავნოს:

1. სააპლიკაციო განცხადება (განაცხადის ფორმა - 23.06.2023 წლის ბრძანების **N2 დანართი**- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე - bsu.edu.ge, კონკურსების ველში);
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. უმაღლესი აკადემიური განათლების (სამართლის, ბუღალტრული აღრიცხვის – აუდიტის, ფინანსების ან ეკონომიკის სფეროში/მიმართულებით) დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. სამოტივაციო წერილი/განაცხადი (თუკი სააპლიკაციო განაცხადში არ არის შევსებული შესაბამისი ველი);
5. აუდიტორის, შიდა აუდიტის ან/და შიდა კონტროლის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 - წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (შრომის წიგნაკი ან/და დამსაქმებელის მიერ გაცემული ცნობა;
6. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა (უნდა იყოს მოქმედი სააპლიკაციო განაცხადის და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის დღისათვის. **შენიშვნა:** კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა);

7. სხვა დოკუმენტაცია, საკვალიფიკაციო ან/და ძირითადი მოთხოვნების დასადასტურებლად (არსებობის შემთხვევაში).

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი კონკურსი 2-ეტაპიანია:

ა) <u>კონკურსის **პირველი ეტაპი**</u> - საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება/გადარჩევა - **2023 წლის 10 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით პერიოდში;**

<u>ბ) კონკურსის **მეორე ეტაპი**</u> - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან - **2023 წლის 17 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით პერიოდში** (გასაუბრების <u>ზუსტი თარიღის, ადგილის და დროის</u> შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ ერთი დღით ადრე, სააპლიკაციო განაცხადში მითითებული ელექტრონული მისამართის ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით);

<u>დაგვიანებით მიღებული ან არასრული საკონკურსო დოკუმენტაცია</u> არ განიხილება და კონკურსანტი პირველივე ეტაპზე მოიხსნება კონკურსიდან (აღნიშნულის შესახებ კონკურსანტს ეცნობება სააპლიკაციო განაცხადში მითითებული ელექტრონული მისამართის ან/და სატელეფონო შეტყობინების საშუალებით).

<u>კონკურსის მე-2 ეტაპზე</u> - გასაუბრებაზე კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ ელექტრონულად გადმოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაციის დედნები, ასევე კონკურსთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია - საკონკურსო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე.

კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდება და კონკურსის შედეგი გამოცხადდება ბსუ-ს ვებგვერდზე - არაუგვიანეს **2023 წლის 24 ივლისისა;**

კონკურსის შედეგებზე სააპელაციო საჩივრის წარდგენა შესაძლებელი იქნება ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) - **2023 წლის 25 ივლისს,** 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე;

კონკურსანტის საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სააპელაციო კომისია განიხილავს - **2023 წლის 26-27 ივლისს;**

კონკურსის **საბოლოო შედეგი** გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - **2023 წლის 28 ივლისს.**

კონკურსში გამარჯვებული კანდიდატი დაინიშნება ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის თანამდებობაზე და გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება **2023 წლის 1 აგვისტოდან,** მის მიერ საკონკურსო ვადებში გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაციის (პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტების) მატერიალური სახით წარმოდგენის შემთხვევაში.

კონკურსთან დაკავშირებით ბსუ-ს ვებგვერდზე - <u>www.bsu.edu.ge</u> (კონკურსების და სამართლებრივი აქტების ველებში) **განთავსდება:**

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის *შესარჩევი* კონკურსის შესახებ განცხადება (ბრძანების **დანართი N1**), სააპლიკაციო განაცხადის ფორმა **(დანართი N2);**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/58 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი";

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის სამსახურში მიღების წესი";
ბსუ-ს შინაგანაწესი, ბსუ-ს ეთიკის კოდექსი, ,,სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკა'', ბსუ-ს წესდება.

ბსუ-ს ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge კონკურსის შესახებ ასევე განთავსდება შემდეგი ინფორმაცია:
ა) იმ პირთა შესახებ, რომლებიც წარმატებით გაივლიან კონკურსის პირველ და მეორე ეტაპებს;
ბ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ;
გ) სხვა ინფორმაცია, საკონკურსო კომისიის/ბსუ-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

კონკურსანტებმა, სააპლიკაციო განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან/და ტელეფონის ნომერზე შესაძლებელია ბსუ-ს ადმინისტრაციიდან მიიღონ შემდეგი შინაარსის ინფორმაცია (შეტყობინება):
ა) საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია;
ბ) დოკუმენტების გადარჩევის ეტაპზე კონკურსიდან მოხსნის ან გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ;
გ) კონკურსის შედეგის შესახებ (დადებითი ან უარყოფითი);
დ) კონკურსის გასაჩივრების შემთხვევაში აპელაციის შედეგის შესახებ;
ე) საკონკურსო თანამდებობაზე დანიშვნის სამართლებრივი აქტის შესახებ.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის *შესარჩევ კონკურსში* გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდება საკონკურსო კომისიის მიერ და კონკურსის საბოლოო შედეგი გამოცხადდება ბსუ-ს ვებგვერდზე - საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულების (2023 წლის 07 ივლისი) შემდეგ, კონკურსის ორივე ეტაპის გავლის შედეგების გათვალისწინებით, **2023 წლის 28 ივლისს.**
საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე, ღია კენჭისყრით. კონკრეტულ ვაკანტურ ადგილზე კონკურში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა ითვლება გადამწყვეტად. გასაუბრების შედეგად ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად კომისია წამოაყენებს კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე.

კონკურსის ეტაპები

კონკურსის **პირველი ეტაპი** - საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება/გადარჩევა
კონკურსის **მეორე ეტაპი** - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან

,,ბსუ-ს მთავარი შიდა აუდიტორის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 23 ივნისის N01-10/78

ბრძანების

დანართი 2

კონკურსანტის სააპლიკაციო განაცხადი

1. **კონკურსანტის პერსონალური ინფორმაცია:**

სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
მისამართი (რეგისტრაციის და ფაქტობრივი)	
საკონტაქტო ტელეფონი	
ელ. ფოსტა	

2. **ინფორმაცია კონკურსანტის განათლების შესახებ** *(მიღებული კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი/სტუდენტის სტატუსი, თუკი კონკურსანტი სწავლობს დოქტორანტურის საფეხურზე)*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიღებული კვალიფიკაცია - აკადემიური ხარისხი	სწავლის დაწყებისა და დასრულების წლები

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

3. **ინფორმაცია კონკურსანტის სამუშაო გამოცდილების შესახებ (შენიშვნა:** სავალდებულოა კონკურსანტს ჰქონდეს აუდიტორის, შიდა აუდიტის ან/და შიდა კონტროლის მიმართულებით მუშაობის <u>არანაკლებ 3 - წლიანი გამოცდილება;</u>

დასაქმების ადგილი-დაწესებულების დასახელება	დაკავებული თანამდებობა/ძირითადი ფუნქციები	დასაქმების პერიოდი	სააპლიკაციო განაცხადის წარმოდგენის დროს <u>მოქმედი</u> შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა/შრომითი ხელ-ის მოქმედების ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

4. **პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა** (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები, პროფესიული მზადების/სერტიფიცირების კურსები/საგრანტო სახელშეკრულებო პროექტებში მონაწილეობა და სხვა")

პროფესიული განვითარების ღონისძიების დასახელება (კურსის/ტრენინგი დასახელება)	ღონისძიების გამართვის ადგილი	თარიღი

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

5. **კონკურსანტის მშობლიური ენა** ----------,

უცხო ენის (ენების) ცოდნა:

უცხო ენა/ცოდნის დონე	გაგება (მოსმენა/კითხვა) (**შენიშვნა:** დონე - A1/A2/B1/B2/C1/C2)	ლაპარაკი (ინტერაქტიული საუბარი/საუბრის გააზრება) (**შენიშვნა:** დონე - A1/A2/B1/B2/C1/C2)	წერა (**შენიშვნა:** დონე - A1/A2/B1/B2/C1/C2)	შენიშვნა
უცხო ენა -				
უცხო ენა -				

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

6. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა, მათ შორის, საოფისე პროგრამული უზრუნველყოფის (MS Office Word, Outlook, PowerPoint, Excel) ცოდნის დონე:

	ცოდნის დონე - **მაღალი**	ცოდნის დონე - **საშუალო**	ცოდნის დონე - **დაბალი**
MS Office Word			
Outlook,			
PowerPoint			
Excel			

შენიშვნა: მონიშნეთ შესაბამისი გრაფები.

7. **კონკურსანტის სხვა სახის აქტივობა** (ჯილდო, სტიპენდია და სხვა აქტივობა)

აქტივობის დასახელება	შენიშვნა/დამატებითი ინფორმაცია

შენიშვნა: დაამატეთ გრაფები თქვენი შეხედულებით

8. კონკურსანტის **სამოტივაციო განაცხადი** *(არაუმეტეს 200 სიტყვა):*

---

9. **კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ სააპლიკაციო განცხადს თან ერთვის კონკურსანტის შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია:**

1. პირადობის მოწმობის ასლი -- ფურც;
2. განათლების (აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის) დამადასტურებელი დოკუმენტი -- ფურც;

3. სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა -- ფურც;
4. სამოტივაციო წერილი (თუკი წინამდებარე სააპლიკაციო განაცხადში არ არის შევსებული შესაბამისი ველი) - ფურც;
5. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არქონის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული **ცნობა** (უნდა იყოს მოქმედი საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის დროისათვის).
6. სხვა დოკუმენტაცია ---- ფურც.

10. კონკურსანტის განაცხადი წარმოდგენილი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) ნამდვილობაზე და თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე:

,,ვადასტურებ წინამდებარე სააპლიკაციო განაცხადში აღნიშნული ინფორმაციისა და ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეს/ნამდვილობას და თანხმობას ვაცხადებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოცულობით დამუშავდეს ჩემი პერსონალური ინფორმაცია **ბსუ-სთან** წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში - შრომითი ურთიერთობის პერიოდში უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე).

.....

(კონკურსანტის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

სააპლიკაციო განაცხადის წარმოდგენის თარიღი ----------